სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების
სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის
2020 წლის 3 ივლისის #124/01-01 ბრძანების საფუძველზე
გეოგრაფიის დეპარტამენტში გამოცხადებული კონკურსის უზრუნველსაყოფად
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის #59/2020
დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

4 სექტემბერი, 2020 ქ. თბილისი, თსუ

**სხდომას ესწრებოდნენ:** პროფ. ლია მაჭავარიანი (კომისიის თავმჯდომარე); პროფ.ზურაბ სეფერთელაძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოც. პროფ. ვაჟა ტრაპაიძე, (კომისიის მდივანი), პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი.

**დღის წესრიგი:**

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოგრაფიის დეპარტამენტის ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

   კომისიის თავმჯდომარემ, პროფ. ლია მაჭავარიანმა მიმოიხილა პრეტენდენტ ლამზირა ლაღიძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასთან ჩატარებული გასაუბრების შედეგები. აღინიშნა, რომ პრეტენდენტი ყველა კატეგორიაში შეფასდა „მაღალი“ შეფასებით. კონკურსანტმა გასაუბრებისას გამოავლინა მაღალი ერუდიცია, სამეცნიერო საკითხების ღრმა ხედვა, მსჯელობის და დასაბუთების მაღალი კულტურა, აკადემიური პროცესის საფუძვლიანი ცოდნა.

   ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 4, წინააღმდეგი - 0

   დაადგინეს:
   ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოგრაფიის დეპარტამენტის ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი ლამზირა ლაღიძე გამოვლინდეს გამარჯვებულად.

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოგრაფიის დეპარტამენტის გეომორფოლოგიისა და კარტოგრაფიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგების შეჯამება და გამარჯვებული კანდიდატის გამოვლენა.

   კომისიის თავმჯდომარემ, პროფ. ლია მაჭავარიანმა მიმოიხილა პრეტენდენტ თენგიზ გორდეზიანის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მასთან ჩატარებული გასაუბრების შედეგები. აღინიშნა, რომ პრეტენდენტი ყველა კატეგორიაში შეფასდა „მაღალი“ შეფასებით. კონკურსანტმა გასაუბრებისას გამოავლინა მაღალი ერუდიცია, სამეცნიერო საკითხების ღრმა ხედვა, მსჯელობის და დასაბუთების მაღალი კულტურა, აკადემიური პროცესის საფუძვლიანი ცოდნა.

   ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 4, წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოგრაფიის დეპარტამენტის გეომორფოლოგია და კატროგრაფიის კათედრის ასოცირებული პროფესორის (კატეგორია „ა“) ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში კონკურსანტი თენგიზ გორდეზიანი გამოვლინდეს გამარჯვებულად.

პროფ. ლია მაჭავარიანი
კომისიის თავმჯდომარე;

პროფ. ზურაბ სეფერთელაძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ასოც. პროფ. ვაჟა ტრაპაიძე
კომისიის მდივანი

პროფ. ნოდარ ელიზბარაშვილი
კომისიის წევრი